რედაქცია
...გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-...ქვემოთ.
ხელის-მოწერა
...თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-...(გვრამაძის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-... „Дроэба“.
„დროების“ ფასი:
...წლისა . . . 9 მან. || სამის თვისა . . . 3 მან.
...წლისა . . . 5 მან. || ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, სტრიქონზე 1 კაპ., ...სტრიქონზე ნახევარი კაპ., ...8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს ...
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს ... ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ნახევარ წლის ხელის-მოწერა.
...ვარის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდინ
„დროება“
ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი
ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. ...ანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.
ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„სიხლთა-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

...ტერბურღი, 7 ივლისს. „მმარ-...ლობის მოამბეში“ გამოცხადებუ-..., რომ რიაზანის გუბერნატორი ...ნი დაინიშნა შინაგან საქმეთა სა-...სტროს სათემო განყოფილების ...რტამენტის გამგებლად; თ. კან-...უზენი სპერანსკი—გარეშე საწ-...ებათა დეპარტამენტის დირექტო-...

...ზეთებში იბეჭდებიან: ჩერნის ...ცაზე, სადა უბედურება მოხდა, ...ს დიდ-ძალი მუშები აყენია და-...ნულთ ამოსათხრელად. მაგრამ ...ჯერობით რვა კაცის მეტი ვერ ...თხრიათ, რადგან მუშაობა ერ-... ძნელია. ლიკომოტივი ამოიღეს ...მ დროს რამდენიმე მუშა მოიმედ ...ჩრა. ნაწილ-ნაწილად სჭრიან და-...ულ კაცების გვამს და ისე ამო-...; საშინელი სუნი დგას მკვდრისა.

## დღიური

...ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ ჟამად ...ურ სინოდის კანტორის რევიზია ...ნიშნავს ეკლესიების დასახელ-ვა-..., რომ ცნობაში მოიყვანონ ეკ-...სიების მდგომარეობა, ქონება და ...ოსავალ-გასავალი. დაწვრილებით ...არ ვიცით რა ინსტრუქცია მიე-... და საკუთრად რა საგნებზე იქნე-...ყურადღება მიქცეული.

...ჩვენ გამოგვითქვამს სურვილი და ...ვეც გამოვთქვამთ, რომ სრული ...ძალიან დაწვრილებითი ინვენტარი ...შესდგეს ჩვენის ეკკლესიებისა ...მონასტრებისა, რომ როგორმე ...ულ იქმნას ძვირფასი კუთვნილე-...ეკკლესიებისა (ოქრო-ვერცხლის ...ოვნებისა და სახსოვრების ისტო-...ათვის).

...ჩვენის აზრით, საჭიროა ყოველი ...ულობა და კუთვნილება თვით ...ულის ამორჩეულ სანდო კაცებს ...არონ შესანახავათ. სოფელში ...ლთვის მოიპოვებიან ეკკლესიის მოყვარე და ერთგული კაცები, მე-ტადრე მთებში.

დანიშნულნი არიან რევიზიისათვის არხიმანდრიტნი: გრიგოლ, პართოს და მაკარი. ვსურვებთ კეთილად და სამართლით მოახდინონ რევიზია და კეთილი წარმატება მისცენ კანტორასა.

* * *

ვერილები სჩივიან, რომ ფიჩხის სტანციიდამ გამოტანილ ნაგავს თითქმის ზედ ქუჩაზე და ქუჩის ნაპირებზედ ჰყრიან და ამისაგან ისეთი საძაგელი სუნია დამდგარი, რომ, თუ ამ ზაფხულში ქალაქის გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია ამას და არ გაასუფთავებინა, უეჭველია ახლო მახლო მცხოვრებლებში ავად-მყოფობა რამ გაჩნდებაო.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად ნათქვამი რამდენიმე სიტყვა ერთის მღვდლის შესახებ, რომელიც დაიარება ბაზარში, ვაჭრობაში ერევა, თუმცა ამის უფლება არა აქვსო; ამ დღეებში იმას ეთქვას ვითომ მეპურეებისთვის: „—წადით, როგორც თქვენმა ხმალმა გაგიჭრასთ, ისე გაჰყიდეთო!“ ე. ბ. მღვდელი იყო დღეს ჩვენს რედაქციაში და გვითხრა რომ თქვენს რეპორტიორს კარგად არ გაუგონია ჩემი სიტყვებიო, მე ვეჩხუბებოდი მეპურეებს, რად ჰყიდით ასე ძვირათო და როდესაც მითხრესო, რომ ნაკლებად გაყიდვა არ შეგვიძლიაო, მაშინ მე ეს სიტყვები ვუთხარიო: „მაშ როგორც თქვენი ხმალი გაგიჭრით, ისე უნდა გაჰყიდოთ რაღაო?!“

* * *

ქუთაისიდამ შემდეგ ამბავს გვატყობინებენ:

ერთს იქაურს მცხოვრებს მზარეულად ჰყავდა სოფლელი ბიჭიო. ბატონს ქურდობა შეუწამებია ამ მზარეულისათვის, რომელსაც ამის შემდეგ აღარ მოუნდომებია იმასთან დადგომა და გამოსულა ამის სახლიდამ. ბატონს პოლიციაში უჩივლია. 4 ამ თვეს, როდესაც პოლიციელებს დაეჭირათ ეს ბიჭი და პოლიციაში მოჰყავდათ, გამოექცა ამათ რიონისკენ და პირ-და-პირ წყალში ჩავარდა. მეორე დღეს ეს ბიჭი დამხრჩვალი ნახეს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. საგარეჯო, 25 ივნისს. ამ მშვენივრად აღყვავებულს მთასა და მინდორს რომ ვუყურებ, უნებლიედ მაგონდებიან ზოგიერთი ბატონები „ნანატრისა და გაგონილის“ და ენატრობ: სად არიან, რომ თვალს არ გადაავლებენ ამ ბუნების სიუხვეს და, აღტაცებულნი, არ ვაჰგზავნიან სადაც ჯერ არს, ჩინოვნიკურს მოხსენებას: ყოველიფერი კარგადა და ჩინებულად იმყოფებაო: თივისა და პურის მოსავალი უხვია, ღვინოსაც კარგი პირი უჩანს, დეპო, ბანკი და ალექსანდრე ცხვედაძეც ისევა აქვსთ აქაურ მცხოვრებლებსა,—იმის მეტი აღარა დასჭირდებათ-რა ამათ—დასხდნენ და ქეიფი გასწიონ...

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სოფლიური ცხოვრება ძნელად შეჰფარდებია ბუნების სიუხვეს: ამ ცხოვრების გარემოებანი ისე ძლიერნი არიან, რომ, რაც უნდა უხვი მოსავალი იყოს, მაინც სუსტია მათი დაჯაბნისათვის, რომ მუშა-მაწარმოებელს ერთი თავისუფლად ამოასუნთქებინოს და წალმა-უკულმა ნაწარმოებმა საზოგადო დაწესებულებაებმა—დეპომა და ბანკმა და მევახშეებისაგან ლამის მაცხოვრად ცნობილმა აქაურმა მასწავლებელმა ცხვედაძემ, მართლა შეიძლოს იმდენად წარმართვა ჩვენის ხალხის ცხოვრებისა, რომ კაცმა გაბედოს თქმა: ჩვენი ხალხი ახლა კი ადამიანური ცხოვრების გზას დაადგაო.

ამის მიზეზები მრავალნი არიან, რომელთა სათვითაოდ გარჩევას მე აქ არ შევეხები; ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი საგარეჯოსი და მის მეზობელი სოფლების ცხოვრება ისე არ მიმდინარეობს და დაწესებულებანი ისე არ მოქმედებენ, რომ შეეძლოსთ ილტაცებაში მოყვანა კაცისა, როგორც მოჰყავს ზოგიერთი მგზავრად-გამვლელი კორრესპონდენტები. ამ საგანზედ ლაპარაკისთვის ახლა არა მცალიან, და თუ არავინ დამასწრო, კვლავ იქნება ვსთქვა რამე. ახლა კი ამ წერილით იმაზედ მინდა მოვახსენოთ რამე, რაც ამ ჟამად აწუხებს ჩვენს სოფელს თავის მეზობელი სოფლებით.

სხვა ცუდ ეკონომიურ გარემოებათა შორის ერთი ცუდი გარემოებაც ისა აქვსთ ჩვენ სოფლებს, რომ მეზობლად ჩაჩხირული ჰყავს ერთგან თათრები, რომელნიც ყაჩაღობითა სცხოვრებენ, და მეორეგან მალაკნები, რომელთა ხელობა განსაკუთრებით აღებ-მიცემობაა. თათრებისაგან ყაჩაღობა ახალი ამბავი არ არის, ამაზედ ხშირადაც უჩივლიათ და ბევრიც უწერიათ აქაურებს, და იქამდისაც მივიდნენ, რომ მთავარ-მმართველს, სხვათა შორის, არზით სთხოვეს ამ თათრების შეკავება და თითქმის გადასახლებაც. მაგრამ მე ის მაკვირვებს, რომ ამ მალაკნებზედ კი არაფერია ნათქვამი ჯერ, და არც იმ თხოვნაშია მოხსენებული, თუმცა ესენი თათრებზედ არა-ნაკლები ყაჩაღები და მტაცებლები არიან აქაური მცხოვრებლებისათვის.

ამ ორი ხალხის მტაცებლობაში ის განსხვავებაა მხოლოდ, რომ თათარი ღამე იტაცებს—საქონელს, და მალაკანი კი დღე ყაჩაღობს—მინდორს მტაცებლობს. და მით უფრო აუტანელია ამის მოქმედება, რომ ყაჩაღი, ავაზაკი არ ეთქმის ამას კანონის ენით, რადგან ამ ყაჩაღობის დროს მალაკანმა ყველა საჭირო წესებისა და ფორმების ასრულება იციან და მაშასადამე ძალაც ხელში უჭირავსთ ხოლმე...

პატარძეულ-ბერთუბანს, საგარეჯოს, ნინო-წმიდას, გიორგი-წმიდას და ანთოკს ერთი მინდორი უჭირავსთ, რომელიც ორ უთანასწორო ნაწილად არის გაყოფილი; ერთს ხმარობს საერთოდ პატარძეულ-ბერთუბანი და მეორეს, აგრეთვე საერთოდ დანარჩენი ოთხი სოფელი.

ზედ ამ მინდვრის მიწაზედ არიან დასახლებულნი მალაკნები და სახმარებლათაც მოჭრილი აქვსთ ორივე მინდვრის ნაწილიდგან და მომეტებული ნაწილი კი საგარეჯოს მინდვრისა. ამ მალაკნების სოფელი მალხაზოვკაა, მცხოვრებნი ოთხმოც კომლამდის იქნებიან. მეურნეობისა ბევრი არა გაეგებათ-რა და ამ გაუგებლობას ხელს უწყობს მათი ადგილ-მამულიც—არც მებაღეობა მათში, არც მებოსტნეობა; ხვნა-თესვა მცირედი აქვსთ; უმთავრესი ამათი ხელობა თიბვაა და ამათი აღებ-მიცემობის საგანი—თივაა. თივით ვაჭრობა მით უფრო სასარგებლოა იმათთვის, რომ თითქმის ყველა იმათგანს რაიმე კავშირი აქვს ტფილისის მეფაეტონე მალაკნებთანა.

ეს მალაკნები თავიანთ ნებით როდი არიან აქ მოსულები, ნემეცებსავით; არამედ მთავრობისაგან არიან გადმოსახლებულები მართლმადიდებელი სარწმუნოებისაგან განდგომილობისათვის დასასჯელად. როგორც

საზოგადოდ სასჯელში მყოფს კაცსა აქვს თვისებად—ესენი არიან თამამნი თავხედობამდის და თავის ნებანი—დამნაშავეობამდის. ამას გარდა ზოგიერთი უპირატესობის მიზეზით უფრო წათამამებულნი არიან, როგორც ხასიათად სჭირს ამ გვარს ბრიყვსა და გაუზრდელს ხალხსა.

აშკარაა რა მეზობლობა უნდა ჰქონდეს ამ ხალხს ჩვენ მეშა-მაწარმოებელ სოფლელებთან. თვით გადმოსახლებიდგან აქამომდე წელიწადი არ გავა ისე, რომ სადავიდარაბო არა ჰქონდესთ და ცემა-ტყეპა არ მოუვიდესთ რომელიმე ზემოხსენებული სოფლების მცხოვრებლებს ამ მალაკნებთანა, და სულ იმ მიზეზით, რომ ისინი მუდამ ამ სოფლების მინდორში გადადიან და ხან ჰხვნენ, ხან სთიბვენ და ხანაც საქონელსა მწყსიან. არ იქნა ვერაფრით ვერ მოუღეს ბოლო ამ მტაცებლობას, როგორც ვერ მოუღეს ბოლო თათრების ქურდობასა. მაგრამ მალაკნებმა წელს უფრო დიდი ოინი უყვეს სავარეჯოსა და ნინო-წმიდას (იმას კი აღარ ვიხსენიებ, რომ ორასი დღის მიწა პატარძეულისა მოხნეს). ოინი ფორმების დაცვითა, კანონიერი ოინი. მთელი სამოცი ოთხ-კუთხის ვერსი სათიბი მინდორი ჩაიგდეს ხელში სავარეჯოსი და მის მოზიარე სოფლებისა და მით მოსტაცეს ამ სოფლების გლეხობას ათას თუმანზედ მეტი.

ამის მიზეზად შეიქმნა ზიორგი-წმიდის მამასახლისი, რომელმაც, როგორც სოფლის მოთავემ, გაჰყიდა, მითომ თავის სოფლისთვის მოჭარბებული მინდორი, რაღა თქმა უნდა, სოფლის დაუკითხავად. ნასყიდობის წერილში, რადგან ფული სოფლისა უნდა იყვეს, სულ, როგორც ამბობენ, ოც-და-ცხრა თუმანი მოუხსენებიათ და ორი ამოდენაც კიდევ სხვა, თურმე ჯიბისაკენ უკრავს. ეს აუცილებელია, რადგან სოლომანა ალათანგაშვილმა (ზოდყრძოვმა) ყველაფრის ფასი კარგა იცის და სხვის სწავლება არ დასჭირდება.

ამას გარდა სოფელმა დაჰკარგა ბევრი შრომა და რაც უსიამოვნობა და ცემა-ტყეპა გამოიარა—ის კიდევ სხვა არის. მალაკნებმა თავაზისა არა იციან-რა: ვისთვისაც მოესწროთ ამ გასყიდულ მინდორში, სულ ცემა-ტყეპით გამოერეკათ იქიდამ, და ერთი გლეხი კიდეც ეწამებინათ, ფურგონზედ მიეკრათ ხელ-ფეხით, ბუზებმა შეჭამონო;—საბრალო ძლივს გამოჰქცეოდათ, მაგრამ მაგიერად, მუშისთვის მოგროვილი ოცი თუმანი, ქუდში შენახული, დარჩენოდა იქა.

(დასასრული ხვალ)

## წერილები რედაქტორთან.

გაზეთს „შრომაში" მე-24 №-ში წავიკითხე შენიშვნა ხობის მონასტრის იერომონახის პალისტრატესი, შესახებ იმავე მონასტრის წინამძღვრის არხიმანდრიტის ბენიამინისა. რადგან ეს შენიშვნა მხოლოდ შურის ძიებისაგან არის წარმომდგარი, ამისათვის, როგორც დ წვრილებით მათის გარემოების მცოდნე პირმან, ნება მომეცით, გამოვაცხადო, თუ რაში მდგომარეობს ძალა და მიზეზი ამა შენიშვნისა.

მღვდელ მონაზონი პალისტრატე სწერს: საქართველოს ძველ ეკკლესიათა შორის ირიცხებაო ჩვენი ხობის მონასტერიო სამეგრელოში, თვისის ძველის შესანიშნავის შენობით და მხატვრობით, ძვირფას ხატებით და სხვ. ამ მონასტერში მასულა წელს 23-ს მაისს მწერალი ფრანცუზი მურიე გამოსაკვლევად ჩვენის ქვეყნის სიძველეთა, აგრეთვე სურათი, როგორც ეკკლესიის, აგრეთვე ხატთა და შენობათა, მაგრამ ვითომ მას შეხვედრია ერთი ფრიად შესანიშნავი სამწუხარო გარემოება: ამ მონასტრის მამა წინამძღვარმა და მონასტრის კრებამ ვერ წაუკითხეს ხუცური და მხედრული ქართული ხატებზე წარწერილობანი; ამ მწერალს მე შევხვდიო დაბა ზუგდიდში, პრინცის სასახლეში, და გაცნობის შემდეგ ეს გარემოება მიამბოო იონა მეუნარგიას თარჯიმნობით, დიდად სწუხდა უქონლობას ამა ძველთა წარწერილობათა და თან უკვირდა, რომ სასულიერო პირმა და მერმეთ წინამძღვარმა თავისი დედაენა ვერ გადასცაო და მე მთხოვა გადმომეწერაო. წამოვედი მონასტერში და ხელ-ყავე გადმოწერას წერილობათა, მაგრამ მამა წინამძღვარმა იწყინა და არ მომცა ნება გადაწერისაო. მე მქონდაო უწინდელი ჩემგან გადმოწერილი და ამ საშუალებით შევასწორე, გადავსწერე და გაუგზავნე ხსენებულს მწერალსო. აქ დასძენს, სამწუხაროაო ის გარემოება, რომ მამა წინამძღვარმა, არხიმანდრიტმა ბენიამინმა, ვერ წაუკითხა და ვერ გადასცა მას ხუცური და ვერცა მხედრული ქართული და ამნაირად შეგვარცხვინაო... მივაქცევ ვისაც რიგია იმის ყურადღებასო, რომ კვლავ არ შეგვხვდეს ამისთანა სასირცხო საქმე და არ დაგვზრახონო.

იერომონახმა პალისტრატემ რომ დაამტკიცა ამ შენიშვნით ხობის მონასტრის წინამძღვართან დიდი შური, ამას ისევ თავის წერილი ამტკიცებს, ამტკიცებს ისე ცხადად, როგორც თვით პალისტრატეს დაუმტკიცა იმის წინამძღვარმა და ერთობ მონასტრის კრებამ ბევრი მღვდელ-მონაზვნებისათვის შეუსაბამო ქცევა, რომლისთვისაც ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გადაწყვეტილებით უკვე მოშორებულ უნდა იქმნეს იგი ხსენებულის მონასტრიდამ. ეს შენიშვნა რომ მტრობით არის შემდგარი, იმას კიდევ შემდეგი მიზეზები ამტკიცებს.

1) თუ დიდი ხნიდამ ჰქონდა გადაღებული იმ წარწერილობათა პირი, რომლიდამაც გადაუწერია, გაუსწორებია და გაუგზავნია მწერალთათვის, მაშ რად აწუხებდა წინამძღვარს, როდესაც იცოდა, რომ წინამძღვარი მას ვერ მიუშვებდა ძვირფასს ხატების განსახილველად? საუმჯობესო და უადვილესი არ იყო, რადგან ჰქონია გადაწერილი, პირ და-პირ იქიდამვე გადაეღო და გაეგზავნა? მაგრამ ეს მოქმედება წინადვე განზრახულობით არის შემდგარი მოსახდენად შფოთისა.

2) ფრანცუზის მწერლისათვის მონასტრის წინამძღვარს, როგორ უნდა აეხსნა ის წარწერილობანი, როდესაც ერთს მეორესი ენა სრულიად ვერ გაეგებოდათ? უთარჯიმნოთ ავტორს ხომ ვერ გაუგია ზუგდიდში იმის ენა და იქ ხობის მონასტერში მეუნარგია რომ არ დასწრებია ეს ცხადია. აქედამ ის არ გამოდის, რომ სხვა ენის უცოდნარობისათვის, წინამძღვარი თავის კრებით იყვეს უცოდინარი ქართულის წერა-კითხვისა.

3) აჰ სამი ოთხი წლის ხობის მონასტერში წინამძღვრად მყოფობაში არხიმანდრიტმა ბენიამინმა, ცხადად დაანახა საზოგადოებას ბეჯითად აღსრულება თავის თანამდებობისა: საშინელ ოხრებაში მიღწეული მონასტერი განაახლა, ყოველ გვარი ნაკლულევანება მონასტრისა მოიყვანა წყობილებაში, ასრულებს სამღვთო მსახურებას ისე, როგორც შეესაბამება წინამძღვარს და ბერს, ყოველთვის მოუსვენლად ზრუნავს მონასტრისათვის, რისთვისაც წრეულს ებოძა მას ორდენი წმ. მოციქულთ თანასწორის ანნასი II ხარისხისა; ეს არხიმანდრიტი იმერეთის ყოვლად-სამღვდელოს გაბრიელს ჰყავს სახეში ერთ-წარჩინებული არხიმანდრიტად თითქმის მთელს ეპარხიაში.

4) სიძველისაგან თითქმის ნახევარ მოშლილის თავისუფლად ამოუკითხველობა (მართლაც რომ ისე ყოფილიყო) ძალიან სასირცხოდ მიაჩნია ი. მ. პალისტრატეს და ითხოვს, ვისაც რიგია იმის ყურადღებას, რომ კვლავ არ შეგვხვდეს ამისთანა სასირცხო საქმე და არ დავიძრახოთ. საკვირველია, რად უნდა იყვეს ეს იერომონახი ყოველთვის შფოთში გახვეული, როდესაც ეს შფოთი მას მუდამ სასჯელსა და სამართალს ქვეშე აგდებს. მე მგონია, ეს უფრო შემარცხვენელია კაცთა, ვინემ გამხმარი კაცის შუბლზედ ხაზების ამოუკითხველობა.

ისიდორე შიოს-ძე იოსავა.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

ეგვიპტე. მთელი ქვეყნის ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია ეგვიპტეზედ, რომლის უმთავრეს ქალაქს ალექსანდრიას მიადგნენ ინგლისის სამხედრო ხომალდები და ყუმბარებს უშენენ. ჯერ-ჯერობით არც ერთი სახელმწიფო არ გამოესარჩლა ეგვიპტეს. მხოლოდ ოსმალეთის უცხო ქვეყნების მინისტრმა კი აცნობა ოსმალეთისავე ელჩს ინგლისში შემდეგი: „მე ვაცნობე ლორდ-დეფფერინს, რომ, სანამ ჩვენ რაიმე გარდაწყვეტილებას დავადგენდეთ ეგვიპტეს საქმეების შესახებ, ინგლისის სამხედრო ხომალდებმა, სროლა არ
დაუწყონ ქ...
კი გავიგეთ, რომ ინგლისის
ადმირალს უკვე გაუმართავს სრ...
ალექსანდრიას ნავთ-სადგურებზე...
გარემოებამ ერთობ ცუდი შთა...
ლება მოახდინა ჩვენზედ. ამის ...
გთხოვთ წარუდგინოდ ლორდ-გ...
ვილს (ინგლისის უცხ. ქვეყ. ...
მინისტრს) ენერგიული წინად...
რომ შეაჩერონ ბრძოლა.

ლორდ-გრენვილს პასუხი მი...
ამაზედ, რომ თვით პორტამ ძა...
კარგად იცის, თუ რა გარემოებ...
აიძულა ინგლისი, რომ მიელო ხ...
ბული ზომები ეგვიპტეში და ეს...
ზომების უკუ-ქცევა კი გვიანღა...

— გაზ. „ტაიმს"-ში სწერია, ...
სამმა წარმომადგენელმა ევროპი...
თავრეს სახელმწიფოთა მოიწონ...
გლისის მოქმედებაო ეგვიპტეში.

— უცხო ქვეყნის გაზეთებში ...
რებიან, იტალიის ქალაქს ნეაპო...
აუარებელი ხალხი გარდადისო ე...
ტიდამ—ალექსანდრიიდამ. თით...
ყოველ დღე მოდის ხომალდ...
მოჰყავს დამშეული და დალატაკებ...
ხალხით, რომელთაც იტალიის მ...
თებლობა სხვა-და-სხვა ღონის-...
უჩენს.

— ქალაქი ალექსანდრია საცო...
სანახაობას წარმოადგენს. გათა...
ფლუშულ ტუსაღებმა, რამოდ...
კუთხეში გაუჩინეს ცეცხლი და ...
ლი ქალაქი იწვის. მცხოვრებ...
თავს შველიან და გადიან ქალა...
რეთა ევროპიელების უბანი სუ...
ქცეულია და ასამდი ევროპიელია...
ქლეტილი.

— თითონ ქედივი არ იციან ...
მე, სად არის ამ ჟამად.

— ეგვიპტელებმა რამდენჯერ...
მოაფინეს თურმე შერიგების ...
მაგრამ მიზნად მხოლოდ ის ჰქონ...
რომ თავის ჯარისათვის ქალა...
გარეთ გასვლის დრო ეშოვნათ. ნ...
სადგურები მიტოვებულია. ჯ...
სრული უწესოება ჰსუფევს.

— უპრალო ხმებმა გამოიწვ...
შეტაკება ინგლისისა ეგვიპტ...
რომ ვითომ ეგვიპტე სიმაგრეებ...
ბდეს და სუეზის არხის დაჭერას...
ქრობდეს, და ამ ხმებმა შე...
რომ ქალ. ალექსანდრიაც და ...
სუეზის არხიც ინგლისს დაა...
ნოს.

— ადმირალ სეიმურს, რომ...
დანიშნულია ეგვიპტეში გაგზ...
ინგლისის ჯარების უფროსად, ...
ლია ინგლისიდამ შემდეგი ...
რადგანაც ეგვიპტელები წინა...
ბას აღარ იჩენენო ნუღარ დაა...
ნავთ-სადგურებსაო; ეცადეთ შ...
ბიანური მოლაპარაკება გამა...
ქედივთან, იქვე აღადგინეთ ამის ...
ლება და ალექსანდრიაში წესი...
მაგრამ, თუ კი საჭიროება მოით...
შეგიძლიათ გაასხათ ჯარი და მ...
სები ნაპირას მხოლოდ პოლ...
მიზნით,—წესიერების დასაცველ...

— ფრანც. გაზ. „France"-ში ...
რებიან ალექსანდრიიდამ:

„შეგიძლია დაგარწმუნოთ, ...
ამ უკანასკნელ დღეებში ეგვიპტ...

არავითარი მიზეზი არ მიუციათ ინგლისელებისათვის, რომ ეს უკანასკნელნი ესე მტრულად მოექცნენ [...]თ. არავითარი ახლად შეიარაღება და სიმაგრეების აგება არ მოსვლიათ [...]თ თავში. ადმირალ სეიმური კი [...]ოდება მაინც, როგორც ეტყობა, [...]ამე მიზეზს.

„სახელმწიფოთა წარმომადგენელთ კრებაც ვერ გაუგიათ, რად მიიღო ინგლისმა ესეთი ზომები. ამბობენ, ეს გარემოება ალბად ოსმალეთს გამოა[...]ებინებს ხელს და უნებურად შერევს ამ საქმეში.

— ეგვიპტეს საქმეებმა მეტის-მეტი ყურადღება მიიქციეს ესპანიისა, რომლისთვისაც სუეზის არხი ერთ უმთავრეს საჭირო გზათაგანს შეადგენს. ესპანიის მთავრობა გაკვირვებულია, რომ ევროპის სახელმწიფოთა არ დაეკითხნენ მას ჯერაც ეგვიპტეს საქმეების გარდაწყვეტაში.

---

ავტორის თხოვნით „შრომის" 25 ნომრიდამ გადმოვბეჭდეთ ეს ქვემო-მოყვანილი წერილი:

## ბ. ნიკოლოზ ბესარიონის-ძეს ლოლაბერიძეს პასუხად.

ერთი უმთავრესი და უკეთესი საშუალებათაგანი, რომელიც კაცობრიობას გამოუნახავს აზრთა გაზიარებისათვის და სხვა-და-სხვა იდეათა ხალხში გავრცელებისათვის არის უცილოდ ბეჭდვითი სიტყვა. მხლანდელს დროში რამდენი დღე და საათი გადის, იმდენი უფრო და უფრო ვრცელდება იგი: იმას გაჰყავს ხალხში სიცოცხლე, ცივილიზაცია, პროგრესსი; იგი სკოლასავით ზდის ერს, უჩვენებს მას მისს ღირსებასა და ნაკლულევანებას, განამხნევებს კეთილისა და სასარგებლო მოქმედებისათვის და ჰგმობს ტყუვილსა და უსამართლობას. ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენს სარკეს, რომელშიაც თვალ-საჩინოდ გამოიხატება მთელი ცხოვრება ხალხისა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. იგი ჰკურნავს სნეულს ორგანიზმს საზოგადოებისას, აღმოფხვრის ძირიანად იმ სენთა, რომელთაც წარმწყმენდელი გავლენა აქვსთ ერის ცხოვრებაზედ, მისს წარმატებასა და განვითარებაზედ. ამისათვის ცხადია, რომ ყოველი კაცი, რომელსაც კი ესმის ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა, მისი კეთილ-მოქმედებითი გავლენა ხალხზედ,—უნდა პატივს სცემდეს მას; რომ ყოველი პატიოსანი კაცი, რომელსაც კი სურს თავის ხალხისათვის კეთილი, მოვალეა დააყენოს ეს ბეჭდვითი სიტყვა იმ გზაზედ, რომელმანაც აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს ჩვენ ხალხის ბედნიერებისადმი, მისს ზნეობითის და გონებითის განვითარებისადმი. მაგრამ თუ ჩვენ გარდავედით ამ გზიდგან, თუ ჩვენ შევუცვალეთ ბეჭდვითს სიტყვას თავისი პირ-და-პირი დანიშნულება და წავიყვანეთ შეცდარ გზაზედ, გზაზედ პირადის ინტერესისა, პირად მისწრაფებათა და მიზნათა, იგი მაშინ დაჰკარგავს თავის სასარგებლო მნიშვნელობას და შეიქნება გამატარებელი ბინძურისა და წვრილმანის ინტერესებისა, რომელნიც ჰრყვნიან ცხოვრებას, შეაგინებენ ადამიანს და მისს კეთილ-შობილს გრძნობას. ბეჭდვითი პოლემიკა, პატიოსნად და გონიერად დადგენილი, ყოველთვის უფრო მალე მიაღწევს აღნიშნულს მიზანს: იგი ემსახურება აზრთა გაზიარებას, იდეათა განმარტებას, ჭეშმარიტების გამოაშკარავებას; იგი ამხილებს ყველა იმ ნაკლულევანებასა, და ბოროტ-მოქმედებას, რომლითაც ხელმძღვანელობენ ჩვენი საზოგადო მოქმედნი თავიანთ სხვა-და-სხვა მიზანთა მისაღწევნელად. ორ მხარეთა ბრძოლა გამოაჩენს ჭეშმარიტებას, ამ ბრძოლით გამოიცნობა ყოველი მოქმედი, მისი შეხედულება და მისწრაფება, რომლისაც მხედველობაშია ხალხის სარგებლობა ანუ ვნება. ვიმეორებ ყველა ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ გონიერისა და პატიოსანის პოლემიკით, იმ პოლემიკით, რომელიც ჰფიქრობს და სცდილობს კიდეც ხალხს სარგებლობა მოუტანოს. მაგრამ პოლემიკა თუ ლანძღვად გახდა, თუ ჭეშმარიტების გამოჩენისა და რომლისამე საქმის გარემოებითა განმარტების მაგიერად ერთი მხარე ტალახს უსვრის მეორეს, პატივს არ სცემს მის პიროვნებას, არ ზოგავს იმის კეთილს სახელს, მაშინ ბეჭდვითი სიტყვა ითელება ტალახში, იგინება იგი, მებრძოლი მხარეები ხდებიან ქუჩის ბიჭებად, ბაზრის მოფარდულებად.

მე არ შემეძლო, ეს ჭეშმარიტება, ყველასაგან აღსაარებული და თქვენგანაც, ნ. ლოლაბერიძევ, ვგონებ ცნობილი, არ მომეხსენებია მკითხველთათვის თქვენის პასუხის გამო, რომელიც წავიკითხე ჩვენის პატივცემულის გაზეთის „შრომის" 23 №-ის დამატებაში. მე მოველოდი თქვენგან უფრო გონიერს, უფრო გულის-ხმიერს წინააღმდგომს პასუხს. მე მეგონა, რომ თქვენ, როგორც მაღალის განათლების მქონემა კაცმა, რომელსაც გიკავიათ საჩინო ადგილი საზოგადოებაში და რომელსაც უნდა გესმოდესთ, რომ კაცის პიროვნება ყოველთვის და ყოველისფერში უნდა პატივ-იცემებოდეს, რომ ეს პიროვნება შეუხებელია, სანამ იმის შესახებ სამსჯავროს გინა საზოგადოებას თავის განაჩენი არ წარმოუსთქვამს, მე მეგონა მეთქი, ვამბობ, რომ თქვენ იცოდით ბეჭდვითის სიტყვის მნიშვნელობა; მე მეგონა, თქვენ გესმოდათ, რომ საქვეყნო ბრალ-დება საზოგადოების წინაშე უკეთურს მოქმედებაში, მოითხოვდა თქვენგან დამტკიცებას ამ ბრალდების გასატყუნებლად. ამ დამტკიცებით თქვენ უნდა დაგემშვიდებინათ აღელვებული, აღშფოთებული თქვენის მოქმედებით საზოგადოება. თქვენ უნდა გაგექარწყლებინათ, შეგემსუბუქებინათ მაინც ის მწარე ტკივილი გულისა, რომელიც დაჰბადა თქვენმა მოქმედებამ არა ჩემში მარტო, არამედ ჩვენის საზოგადოების ასსა და ათასს მოქალაქეში. თქვენ უნდა გაგეწმინდათ თქვენი თავი იმ საშინელის ბრალდებიდგან, რომელმაც ბევრი პატიოსანი პირი აიძულა ზიზღით შეექციათ ზურგი თქვენთვის, გაეთავებინათ თქვენთან ყოველი ანგარიში და სიმპატია. ნუ თუ მართლა ფიქრობთ თქვენ, რომ თქვენის პასუხით, გაზეთს „შრომაში" რომ არის, თქვენ გაიმართლეთ თავი, მოიწმინდეთ შავი ლაქი, განთავისუფლდით იმ დაგმობისაგან, იმ წყევათაგან, რომელთაც გიგზავნიან თქვენ რამოდენიმე ასი ქალი და კაცი და მათი შვილები? ნუ თუ მით, რომ თქვენ მე დონკიხოტი მიწოდეთ, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოებისათვის, გინა ეგოისტი და სხ. და სხ. თქვენ გაისწორეთ თქვენი თავი საზოგადოების თვალში და დაამტკიცეთ, რომ მე მატყუარა ვარ, ინტრიგანი და სხვა ამისთანა? არა, მე შორსა ვარ, ჩემი ღირსება გამოვშალო საზოგადოების წინაშე, დეე პატიოსანმა კაცებმა, რომელთა რიცხვი ცოტა არ არის ჩვენში, თვითონ დამაფასონ და შემადარონ თქვენთან; მაგრამ ამასთანავე თამამად გეტყვით, რომ მრავალ პატიოსან პირთა წყევა, მათი ზიზღით აღსავსე დამოკიდებულება თქვენთან, და აგრეთვე მთელის ჩვენის ადგილობრივის პრესსისა, კიდევ დიდ ხანს, დიდხანს იქნება თქვენზედ!...

ამ ჩემს შენიშვნაში, მე არ შევეხები თქვენს პიროვნებას. მე სიყმაწვილიდგანვე შთამინერგეს რწმუნება პატივ-სცე კაცის პიროვნებას და სამარემდის არ ვულალატებ ამ ჩემს რწმუნებას. მე თქვენსავით არ დავიწყებ ლანძღვას, ვინაიდგან მხოლოდ ის ილანძღება, ვისაც თავის გამართლება არაფრით არ შეუძლია, ვინც აზრიანისა და საქმიანის პასუხის მაგიერად სცდილობს პირი დაუცოს მოწინააღმდეგეს ყვირილით და უშვერის გინებით, მე მყავხართ მხედველობაში, როგორც საზოგადო მოღვაწე, გიცნობთ თქვენ მხოლოდ ამ მხრით ბრალს გდებთ, გკიცხავთ თქვენ, როგორც საზოგადო მოღვაწეს. ამიტომ მე შევდივარ ამ ვიწრო ფარგალში და ერთს წამსაც არ გარდავცილდები მისს სამზღვარს, დავიწყებ საქმიდგან, სახელდობრ თქვენის პასუხის გარჩევიდგან. ვნახოთ ყოველისფერი, რაც გითქვამსთ, მართალია თუ არა, მოყვანილი ფაქტები გამართლებენ თუ არა.

მიხეილ ზგუძე.

(გაგრძელება)

---

## ქართული ისტორია

### XI

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა იმ ხანში, როდესაც სომხეთი დაინაწილეს ვიზანტიამ და სპარსეთმა.—სარწმუნოებრივი და ლიტერატურული კავშირი ქართველებისა სომხებთან.—წმინდა მესრობის ქართული ანბანი.

თუ მკითხველი ამ ხეში მოხსენებულს*) ცნობებს ქვემო-მოყვანილს უცხო-ტომთ ცნობებს შეუდარებს, ის უეჭველად დარწმუნდება, რომ ორ-გვარივე ეს ცნობები საზოგადოდ ერთი მეორეს ეთანხმებიან ამ დროების საქართველოს დამოკიდებულებაზე ვიზანტიასთან და სპარსეთთან. იმათში, რა საკვირველია, განსხვავებაც აღმოჩნდება, მაგრამ ამ ნაირი განსხვავება აუცილებელია, რადგანაც სხვა-და-სხვა ქვეყნების მწერლებმა ერთი მეორის ცნობებზე არაფერი იციან და გარდა ამისა ჩვენის ქვეყნის ისტორიულ მიმდინარეობას სხვა-და-სხვა გვარ უმზერენ ანუ სხვა-და-სხვა იმის გარემოებაებს წარმოგვიდგენენ. ამასთანავე საქართველოს ისტორიის ასპარეზზე ხან-და-ხან იმათ გამოჰყავთ ზოგიერთნი პირნი, რომელნიც არ იხსენებიან ჩვენ მატიანეში; მაგრამ ამ უხსენობლობის გამო ის პირნი ჩვენ სრულებით არ უნდა უარ-ვყოთ. შესაძლებელია, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა რამდენსამე სამეფოდ იყო დანაწილებული, უცხო-ტომთაგან ცნობილნი იყვნენ სხვა-და-სხვა სამეფოის ანუ სამთავროების პირნი, რომელთაც იმათთან კავშირი რომ ჰქონიათ და რომელთაც ქართლის ცხოვრება არ შეეხება.

ამ აზრის გასაცხოველებლად ჩვენივე მატიანე გვაძლევს საფუძველს. იმის ცნობით, საქართველო დაგლეჯილია; დასავლეთისა და აღმოსავლეთის საქართველოს ნაწილებს ერთმანეთში არავითარი კავშირი არა აქვთ; მთელი დასავლეთი მხარე და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები ექვემდებარებიან ვიზანტიას; სამხრეთ-დასავლეთი მხარე კი, მოსაზღვრე სომხეთისა, დაჭერილია სპარსეთისაგან. დამოუკიდებელ პოლიტიკურ მდგომარეობას წარმოგვიდგენს მხოლოდ ქართლი, თუმცა ამ მხარეზედაც ხან-და-ხან სპარსნი ავრცელებენ თავიანთ ბძანებლობას. თვითოეულს დანაწილებულს ჩვენ მხარეთაგანს საკუთარი მეფე ანუ მთავარი განაგებს. მირიანის შემდეგ ქართლში მეფობს ბაქარი; კახეთში რევი; რანში ფეროზი. ეგრისში ქართლის ცხოვრება საკუთარ მეფეს არ იხსენიებს, მაგრამ იქაც, როგორც ეს შემდეგ აღმოჩნდება, ცალკე მეფე ზის. გარდა ამისა, ყველა ჩვენი სამეფოები დაყოფილია საერისთავოებად, რომელნიც თითქმის პატარ-პატარა სამეფოებს შეადგენენ, სომხეთის სათავადოების მსგავსად, რადგანაც ისტორიული კანონის წესით, მცირესა და მისუსტებულს სამეფოში ძალა და დამოუკიდებლობა ფეოდალების ანუ მებატონეების ყოველთვის აუცილებელია.

უმთავრესი მიზეზი საქართველოს დანაწილებისა იმ დროს და შემდეგშიაც იყო იმისი გეოგრაფიული მდებარეობა. როგორც ყველამ ჩვენგანმა იცის, ეს ქვეყანა ბუნებასვე დაუგ-

---

*) ხეს აქ თუმცა ვიხსენიებთ, მაგრამ გაზეთში აღარ შემოგვაქვს.—ხე თავ-თავის ადგილში იქნება, როდესაც „ქართული ისტორია" წიგნად დაიბეჭდება.

ლეჯია მაღლად ამართულის მთის ქედებით, ღრმად ჩაწოლილის ხეობაებით და შფოთიანისა და საშიშის მდინარებით. ამ გვარი მდებარება დედა-მიწის ზურგისა დიდად ავნებს პოლიტიკურ კავშირს იმის მცხოვრებლებისას. გარდა ამისა თვით ბძანებლობა ბიზანტიისა და სპარსეთისა ადგილ-ადგილ საქართველოს ნაწილებში ასუსტებდა ჩვენის ტომის ურთიერთ დამოკიდებულებას. ჩვენი სისუსტე იმათთვის სასარგებლო იყო. რამდენადაც ჩვენ უძლურნი ვიქნებოდით, იმდენად იმათგან ჩვენი დამონავება უფრო ადვილი იქნებოდა. ბიზანტიისა და სპარსეთის მეზობლობას საქართველოს საზღვრებში ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ დღეს ანუ ხვალ ორივე ეს მეზობლები ერთი მეორეს უნდა შესჯახებიყვნენ. ამ შეჯახების ასპარეზი იყო საქართველოს შუა-გული ქართლი. ქართველები ცხადად ჰხედავდნენ, რომ ამ ორთა მტერთა შორის ბრძოლა იყო ურთიერთი ბრძოლა ორის სარწმუნოებისა, ქრისტეს აღსარებისა და ცეცხლის-თაყვანისცემისა და თუ პირველს სძლევდა მეორე, მაშინ თვით ქართველების სარწმუნოებასაც დიდი განსაცდელი მიადგებოდა. ამის გამო ისინი ჰკერძავდნენ ბერძნებსა. რომ მომეტებული ძალა მისცემოდა ბერძნების კავშირს ქართველებთან, ბიზანტიის იმპერატორები ჩვენის მეფეებისაგან მძევლებს გამოითხოვდნენ. „ჟამთა მცირისა თეოდოსი ბერძენთა მეფისათა, ვკითხულობთ ვარაზ-ბაკურის შვილის მურვანოსის, ანუ წმ. პეტრეს ცხოვრებაში, იქმნა მტერობა ბერძენთა შორის და სპარსთა, და მეფემან თეოდოსი, მოშიშმან ნუ უკვე შეერთდნენ ქართველნი სპარსთა და იძლივნენ ბერძენნი, მოსთხოვა სიყვარული ქართველთა მეფესა და უმეტესისა სიმტკიცისათვის მძევალნიცა სთხოვნა. ხოლო რათა არა განიწვალნეს ქართველნი ბერძენთაგან, ყოველი სათხოველი ბერძენთა მეფისა აღუსრულა მეფემან ქართველთამან და წარუვლინა ძე თვისი მურვანოს ათორმეტის წლისა მძევლად ქალაქად კოსტანტინეპოლად სხვათათანა სეფეწულთა“.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგა-ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

სოფელ მარტყოფში მიეც მა საზაფხულო სახლები სამი ოთახით თავის კუხნით ან ორი ოთახი აგრეთვე კუხნით ეზოთი პირველს ენკენისთვემდი. ფასის მორიგება შეიძლება მღვდელ პეტრე მბიტოვთან. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც ჰსურს იკისროს ქვითკირისა და მიწის მუშაობა ახლად გასაკეთებელის ვერის ხიდისა; შეუძლიან შეიტანოს განცხადება ქალაქის გამგეობაში (უპრავაში) ამა 1882 წლის 1 აგვისტომდინ.

პროექტი და დაწვრილებითი პირობები ამ მუშაობისა მსურველს შეუძლიან ნახოს უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—2)

გ. ნიკოლოზის-ძე იოსელიანი იღებს თვისს პანსიონში ყმაწვილებს პირობით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მიხაილოვის ქუჩა № 81. (5—3)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, სურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—95)

ქართველი **სტუდენტი** ეძებს გაკვეთილებს. ადრესი — შავერდოვის აგენსტვოში.

მერვე კლასის [illegible] აძლევს გაკვეთილებს. ადრესი „დროების“ რედაქციაში. (6—6)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

ვიღებ მოსაქსოვად სახლის ფანჯრებისთვის მაღაზიებისთვის და ბალკონებისთვის

**შტორებს—ფარდებს**

ზედ წარწერით და მხატვრობით—ისე, როგორც პატრონი (ზაკაზჩიკი) ისურვებს. აგრეთვე ვიღებ გასაკეთებლად ოთახებისთვის

**შირმებს**

მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ ფრანცების ქუჩაზე, ებრაელების სალოცავის მახლობლად სახლი № 22. (5—2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

ფაბრიკა

**ძმათა ბუხთა ვარშავაში**

Братья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

**ახალი ვერცხლისა** (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის **მოწყობილობაზე** (პრიბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, **სუფრის და ჩაის** დესერტის ხონჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა **შინაურს და საეკლესიო საგნებზე:** კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, საცეცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამიებისა არის კიდევ სხვა სახლის **მშვენიერი მოწყობილებანი:** ლიუსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სურები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მჭიდრო და რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირ-და-პირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მსურველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—10)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюля 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი